№ 83 28 თიბათვე, სამშაბათი 1866—1877 28 თიბათვე, სამშაბათი № 83

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

**კანტორა რედაქციისა:** მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

**ხელის-მოწერა:** მიიღება კანტორაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

# დროება

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ვსრ-მთავრულით სტროიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

**ᲣᲛᲝᲬᲠᲩᲘᲚᲔᲡᲐᲓ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲚᲘ ᲯᲔᲠ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲛᲝᲬᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ, ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ.**

**ᲐᲛ ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲡ ᲕᲣᲛᲔᲝᲠᲔᲑᲗ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲘᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡᲐᲪ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲗ.**

**ᲕᲘᲜᲪ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, 1 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲐᲔᲒᲖᲐᲕᲜᲔᲑᲐ.**

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ

## „ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲖᲔ“

ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ** ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ, ᲑᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, Ნ. ᲐᲛᲐᲢᲣᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲔᲑᲨᲘ.

**ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲐ ᲐᲛ 1 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ 1 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘᲡᲐᲛᲓᲔ—5 ᲛᲐᲜ.**

ᲥᲐᲚᲐᲥᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲔ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲔᲡᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲜᲝᲜ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты Дроэба“.*

## ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ)

### ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

**ᲡᲐᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ.** ᲐᲥ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲓᲐᲛ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲝᲜᲗᲘᲥᲐᲠᲘ ᲐᲛ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲝᲞᲝᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲓᲣᲜᲐᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲖᲔ ᲬᲘᲡᲕᲚᲐᲡᲐᲝ.

**ᲕᲔᲜᲐ, 24** ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲢᲠᲘᲐᲓᲔᲑᲘ ᲠᲣᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡᲐ ᲞᲚᲔᲕᲜᲐᲛᲓᲘᲜ ᲓᲐ ᲚᲝᲕᲐᲪᲐᲛᲓᲘᲜ ᲛᲘᲡᲘᲣᲚᲐᲜ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ.

**ᲠᲐᲒᲣᲖᲐ, 24** ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ᲑᲝᲡᲜᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲛ ᲓᲐᲘᲪᲕᲐᲡ ᲔᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐ�გᲐᲜ.

**ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜ-ᲤᲐᲨᲐᲛ** ᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲗ ᲐᲜᲢᲘᲕᲐᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ ᲐᲚᲑᲐᲜᲘᲐᲨᲘ. ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲛᲭᲐᲛᲐᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲘᲪ ᲐᲠᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲡᲐ. ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲗ ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘᲐ.

**Ს.-ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 26** ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ᲒᲐᲖᲔᲗᲡ „Голосъ“-Ს ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ ᲑᲣᲮᲐᲠᲔᲡᲢᲘᲓᲐᲛ ᲓᲔᲞᲔᲨᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ 24-Ს ᲢᲘᲠᲜᲝᲕᲝᲡᲗᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲠᲣᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲝᲠᲛᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐᲛ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲛ, ᲝᲠᲛᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲐᲛ ᲥᲕᲔᲕᲘᲗᲛᲐ ᲯᲐᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲗᲐ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐᲛ. ᲡᲐᲛᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲛᲔᲠᲢᲧᲜᲔᲜ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲨᲘᲜᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲡ. ᲢᲘᲠᲜᲝᲕᲘ ᲐᲘᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲛᲐ. ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲡ ᲝᲡᲛᲐᲚᲝᲔᲑᲡ.

—

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 25** ᲘᲕᲜᲘᲡᲡ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲗ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ᲑᲝᲡᲜᲘᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐᲡ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐᲝ.

## ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

### ᲐᲖᲘᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲠᲣᲡᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ „Русскій Инвалидъ“-ᲨᲘ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘ-

## ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

### ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲐᲛᲑᲝᲑᲘ)

ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲤᲔ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲥᲔᲑᲐᲪ ᲛᲗᲔᲚᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡᲐ ᲡᲪᲝᲓᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲪ ᲛᲐᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲡᲭᲔᲠᲘᲐ. ᲔᲡ ᲛᲔᲤᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲐᲓᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲐᲠ ᲘᲮᲡᲜᲘᲘᲑᲔ, ᲘᲡᲔᲗᲘ ᲗᲐᲕ ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ, ᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲕᲠᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲒᲚᲐᲮᲐᲙᲘ ᲐᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲠᲓᲝᲛᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲕᲔᲠ ᲒᲐᲘᲕᲚᲘᲚᲘᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲔᲤᲔᲡ ᲠᲐᲘᲛᲔ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲣᲒᲔᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲪᲐ.

ᲚᲛᲔᲠᲗᲛᲐᲪ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲛᲐᲡ ᲖᲔᲪᲘᲗ ᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ ᲛᲝᲣᲕᲚᲘᲜᲐᲝ, ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ.

ᲛᲔ ᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜ ᲐᲥ ᲠᲐᲛᲓᲠᲝᲜᲡᲐᲛᲔ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ ᲒᲐᲛᲘᲒᲝᲜᲘᲐ ᲐᲛ ᲛᲔᲤᲔᲖᲔᲓ.

×

ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲔᲠᲗᲡ ᲓᲘᲓ ᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲐᲚᲔᲑᲘᲚᲐᲛᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡᲐ ᲔᲠᲗ ᲦᲐᲠᲘᲗ ᲙᲐᲪᲡᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲝᲔᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲬᲔᲔᲚᲝᲗ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲐᲗ; ᲛᲘᲔᲢᲐᲜᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲬᲧᲝᲗ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ — ᲙᲐᲠᲘ ᲕᲘᲡᲐ ᲒᲜᲔᲑᲐᲛᲗ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲘᲗ? ᲛᲔᲤᲔᲡ ᲨᲔᲡᲛᲔᲜᲝᲓᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲓᲐ ᲒᲔᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲕᲔᲖᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲘᲗᲮᲐ —ᲗᲣ ᲠᲐ ᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲥᲕᲡ, ᲙᲐᲪᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲡᲐ ᲰᲧᲘᲓᲘᲗ?

— ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲗ ᲛᲔᲤᲔᲗ, ᲛᲘᲣᲒᲠ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲒᲚᲔᲮᲛᲐ, ᲓᲦᲔᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲓᲦᲔ ᲒᲐᲮᲚᲐᲛᲗ ᲓᲐ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲠᲘᲠᲝᲨᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲚᲣᲙᲛᲐ-ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲪᲘ, ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘ ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗ ᲛᲘᲬᲣᲮᲡᲝ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲔᲧᲘᲓᲝ, ᲬᲐᲕᲘᲓᲝ ᲰᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲐᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲕᲘᲐᲚᲔᲑ-ᲦᲐᲛᲝᲗ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲒᲔᲑᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲓᲠᲝᲡᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲨᲕᲘᲓ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲕᲠᲩᲔᲗ; ᲐᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡᲐ ᲕᲧᲘᲓᲘ, ᲨᲔᲜᲘ ᲰᲘᲠᲘᲛᲔ!

ᲛᲔᲤᲔᲛ ᲓᲐᲣᲫᲐᲮᲐ ᲕᲔᲖᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲐ:

— ᲕᲔᲖᲘᲠᲝ, ᲬᲐᲓᲘ, ᲬᲐᲘᲧᲕᲐ ᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲛᲝᲛᲓᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲢᲝᲛᲐᲠᲐ ᲰᲣᲠᲘ ᲐᲣᲬᲧᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲜᲘᲓᲐᲛ ᲙᲙᲐ ᲦᲕᲘᲜᲝ, ᲓᲐ ᲨᲔᲜᲪ ᲬᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲘᲦᲔᲑ ᲦᲐᲛᲔ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲦᲔᲡᲐ. ᲙᲐᲠᲔᲑᲘᲪ ᲣᲙᲐᲜ ᲬᲐᲘᲦᲔ!—ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲕᲔᲖᲘᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲑᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ ᲛᲘᲡᲪᲐ.

ᲛᲔᲝᲠᲔᲯᲔᲠ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲔᲠᲗ ᲒᲚᲔᲮᲡᲐ, ᲐᲦᲓᲒᲛᲐ ᲓᲦᲔᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲗᲘ ᲐᲛᲝᲦᲔᲚᲝᲗ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲘᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲬᲐᲦᲔᲚᲝᲗ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ, ᲘᲛ ᲘᲛᲘᲓᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲣ ᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲙᲐᲪᲡᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲩᲣᲥᲐ, ᲛᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲑᲔᲕᲠᲡ ᲛᲐᲩᲣᲥᲔᲑᲡᲝ, ᲓᲐ ᲛᲘᲡᲚᲔᲚᲘᲡᲐᲗᲐᲜᲕᲔ ᲓᲐᲣᲬᲧᲘᲐ ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘ:

— ᲙᲐᲠᲘ ᲕᲘᲡᲐ ᲒᲜᲔᲑᲐᲛᲗ ᲒᲐᲡᲐᲧᲘᲓᲘ!

ᲛᲔᲤᲔᲡ ᲨᲔᲡᲛᲔᲜᲝᲓᲐ, ᲒᲐᲔᲒᲖᲐᲕᲜᲐ ᲕᲔᲖᲘᲠᲘ, ᲓᲐᲔᲫᲐᲮᲔᲑᲘᲜᲐ ᲘᲡ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐ ᲔᲙᲘᲗᲮᲐ;

— ᲠᲐ ᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲥᲕᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲘᲢᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲰᲧᲘᲓᲘ.

— ᲠᲐ ᲕᲥᲜᲐ, ᲛᲝᲬᲧᲐᲚᲔᲗ ᲛᲔᲤᲔᲗ, ᲨᲕᲘᲓᲘ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲗ ᲕᲘᲛᲐᲠᲮᲣᲚᲔ, ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲣᲙᲛᲐ ᲮᲝᲠᲪᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲘ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲜᲐ!

ᲛᲔᲤᲔᲡ ᲯᲐᲕᲠᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲧᲝᲗ ᲓᲐ ᲔᲗᲥᲕᲐ:

— ᲐᲘ ᲨᲔ ᲥᲣᲓ ᲛᲝᲮᲓᲘᲚᲝᲗ ᲓᲐ ᲚᲔᲩᲐᲥ ᲓᲐᲮᲣᲠᲣᲚᲝᲗ ᲥᲐᲚᲐᲩᲣᲜᲐᲐ, ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲓᲐ ᲠᲐ ᲮᲝᲗ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲐᲠᲮᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲒᲠᲔ ᲨᲔᲬᲣᲮᲔᲑᲣᲚᲮᲐᲠ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲣᲗᲣᲗᲝᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲞᲘᲠᲘ! ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲡᲘᲠᲪ-

ლია დაწერილებითი აღწერა ყარსის სიმაგრისა, რომლიდამაც ამოგვაქვს შემდეგი დასკვნა:

„ კარგი მხარეები ყარსის სიმაგრისა არიან შემდეგნი: 1) ქალაქს გარშემო შემორტყმული აქვს მთები, რომლებიც მთელ არე-მარეს დასჩემებიან; 2) ეს მთები ისე ახლოს არიან ერთმანერთზედ, რომ ერთს მეორის დახმარება შეუძლიან არ ჰქონდეს ერთერთი; 3) თვითონ ნიადაგი ყარსის გარშემო არის კლდიანი ასე, რომ მტერს ბატარეების გამართვა და მიწის მუშაობა ძალიან გაუჭირდება.

სუსტი მხარეები კი ყარსისა არის: 1) ყველაზე უვარესი—უწყლობა: ზოგიერთს მთებზედ (ფორტებზედ) წყალი სრულიად არ არის, რადგან ყარს-ჩაი ერთობ შორს ჩადის და 2) ყაზარმების ნაკლებობა ასე, რომ სიცივეში მომეტებული ნაწილი ჯარისა გარეთ უნდა იყოს ღაბანაკებული.“ —

ვენელი კორრესპონდენტი ინგლისურის გაზეთის „Daily Telegraph“-ისა გვაცნობებს, რომ ნამდვილად შევიტყეო, რომ რუსეთი ერთნაირად დაიმედებული არის გამარჯვებაზედ, რომ ახლავე აცნობა უცხო ქვეყნებში თავის წარმომადგენლებს პირებები, რომლითაც ის დათანხმდება ოსმალეთთან მორიგებასაო. სამი უმთავრესი მუხლია, კორრესპონდენტის სიტყვით, ამ პირებებში:

1) ოსმალეთმა დაუთმოს რუსეთს ბათუმი და იმის მაზრა (ოსმალოს საქართველო).

2) ჩრდილოეთი ბოლგარია, ბალკანის მთებს ზემოთ, სრულიად გაათავისუფლოს თავის დამოკიდებულებისაგან და ამ ქვეყნიდამ ცალკე სახელმწიფო შესდგეს, და

3) რუსეთის სამხედრო ხომალდებს მიეცეს ნება, რომ დარდანელში თავისუფლად გავიდნენ და გამოვიდნენ.

ზემოხსენებული გაზეთი ამბობს, რომ ეს ისეთი პირობებია, რომელზედაც არც ოსმალეთი დათანხმდება და არც ევროპაო; განსაკუთრებით ინგლისი ვერ მოითმენსო, რომ ოსმალეთს ერთი მტკაველი მიწა ჩამოაჭრანო.

რუსული გაზეთები კი პირ-იქით ამბობენ, რომ რუსებმა იმდენი მსხვერპლი მოიტანა ამ ომში, რომ ასე მცირე ჯილდოს ვერ დასჯერდებაო, და ამიტომ ჩვენ დარწმუნებული ვართო, რომ ეს ცნობა ტყუილი უნდა იყოსო.

—

„მოსკოვის უწყებებში„ სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა გვაცნობებს, რომ ოსმალეთის მმართებლობას იმედი აქვს კიდევაო რომ ქავკასიის მთიულებს (მაჰმადიანებს) ააჯანყებს და ამნაირად რუსეთის ჯარის ერთს ნაწილს მოაშორებინებს მცირე აზიის ბრძოლის ველიდამაო.

—

ამას წინათ იწერებოდნენ, რომ შამილის შვილი აფხაზეთში გამოვიდა და განზრახვა აქვსო, რომ აქედამ მთებზე გადავიდეს და იქაური მთიულები ააჯანყოსო. მაგრამ ახლა ერთს რუსულს გაზეთში დაბეჭდილი დეპეშა გვატყობინებს, რომ შამილის შვილი მცირე აზიის ოსმალოს ჯარში იმყოფებაო.

—

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა რუსეთის სამხედრო მინისტრისაგან გადაცემული:

„ზიმნიცა, 20 ივნისს, კავკასიის არმიის მთავარ-სარდლისაგან მოვიდა აქ დეპეშა, რომ რადგან დერვიშ-ფაშას დიდძალი ახალი ჯარები მოუვიდა ბათუმში, ამის გამო ღენერალმა ოკლობჟიომ განკარგულება შეაჩერა, რომ უფრო მოხერხებულს და გამაგრებულს ალაგას დაბანაკებულიყო რიონის ატრიადით; ამ განზრახვით 12 ივნისს რომ ოსმალები (ციხის-ძირიდამ) დაეცნენ ჩვენ ჯარებს, მას შემდეგ ღენერალმა ოკლობჟიომ მუხა-ესტატეში დასწია თავის ატრიადი და აქ გამაგრდა.“

„აბხაზეთში ღენერალი ალხაზოვი 15 ივნისს დაეცა მტერს ოჩამჩირესთან და ბევრი ზიანი მისცა. მტრის ჯარი გაწვრთნილი ჯარისაგან იყო შემდგარი, ბევრი ეგვიპტელები ერიენ, არტილერიაც საკმაოთ ჰქონდათ. თუმცა მტერმა ორის მხრით შეჰქმნა სროლა—ხმელეთიდამ და ზღვიდამ (ცხრა ხომალდის ზარბაზნებიდამ), მაგრამ ჩვენის მხრით 250 კაცზე მეტი არ არის მოკლულნი და დაჭრილი.

—

ბერლინის გაზეთს „ბირშის აგენტობაში“ სწერენ, რომ ვითომ ყველა გვარი მოძრაობა სოხუმში ოსმალებისა შეყენებულია, იმიტომ რომ აბხაზები, შემოსული ოსმალოები და ჩერქეზები ვერ მორიგდნენ ერთმანეთშიო და ამათში რაღაც უთანხმობა მოხდაო; სოხუმის მაზრაც შემორტყმულია რუსების ჯარითაო.

—

რუსულ გაზეთს „Голосъ“-ში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მოსული შემდეგი ამბავი:

„ოსმალოების ჭურთების ჯარმა აი-

---

ხვიდა, რომ დღევანდელ ქრისტეს აღდგომის დღესა კარები გამოგიტანია და ჭიდი! მუცელი ქვევით არის, ზევით ხო არ არის! და დაუძახნია ვეზირისთვის:

— ვეზირო, წადი, წაიყვა ეს კაცი და რამტენი ხორაგის წაღებაც შაიძლოს, იმტენი მიეცი!

წაიყვანა ვეზირმა და აგრეთვე ბძანებისამებრ მისცა გლეხსა.

სხვა მეფე რომ ყოფილიყო მის ალაგასა, კი არ მისცემდა რამეს, ერთი კარგათ მიჯოხამდა და ისე გაგდებდაო; მაგრამ ის რომ ასეთი თავ მდაბალი ყოფილა, ღმერთსაც იმიტომ მოუვლენია ზეცით გვირგვინიო და აი რა მოქმედებისთვის მოუვლენია ღმერთსა:

×

ერთხელ მეფე თავის უმაღლესის სამეფოს ხალხით და ამალით თავის ერთს სამეფო ბაღში ბძანებულა და მეჯლიშში და დიდი ნადიმობა ჰქონიათ. იმ დროს იმ ბაღის კარებთან ერთ გლახაკს გაუელია და მძეელს გლახა კარებიდამ დაუტუქსამს. ეს მეფეს დაუნახამს, — დაუძახინებიან ის გლეხი, დაუსხამს აზარფეშაზე ღვინო, მიუწოდებია მისთვის. დაულევია გლეხ-კაცსა. შემდეგ თვითონ დაუსხამ თავისთვის და დალევის დროს იმ გლეხის ქუდიდამ ერთი ბანჯღვლი ჩავარდნილა, მაგრამ მეფეს არ შეზიზღებია, დაულევია და დალევისათანვე ზეციდამ გვირგვინი წამოსულა და დასდგმია თავზედა. აი იმ გვირგვინის ძალით გაძლიერებულა კიდეც და მისი ამბავი მთელს ქვეყანაზედაც მოფენილა.

შემდეგ ერთ მის მეგობარ სხვა ქვეყნის ხემწიფეს კაცები გამოეგზავნა და შამოეთვალა, თუ შაიძლება ერთი თქვენი ზეცით მოვლენილი გვირგვინი გვათხოვეთ, რადგანაც მაგ სახეზე გვინდა გავაკეთებინოთ ჩვენი გვირგვინიცაო და შემდეგ უკან დაგიბრუნებო.

ქართველი მეფე, რაკაგანაც გულ-კეთილი ბძანებულა და მართალი, დაუჯერებია და გაუტანებია თავის გვირგვინი, მიუტანიათ მათ და გაუკეთებინებიათ მართლაც სწორეთ იმ სახეზე. მაგრამ ის გვირგვინი ქართველებისა იქ დაუტოვებიათ და მის მაგიერ სხვა ახალი გაკეთებული იმ მეფეს ბაგრატოან მეფისთვის გამოუგზავნია. მოუტანიათ თუ არა ჩვენ მეფესთან, მეფეს მაშინათვე შეუნიშნამს, რომ ეს ჩვენი გვირგვინი არ არისო, მაგრამ რაღას იზამდა!

შემდეგ ის გვირგვინი ქართველებს ეღარ მიუღიათ და ამის გამოცა, ამბობს ხალხი, ჩვენი სამეფოს საქმეც ცუდათ წასულა და მტრებს დაუწყვიათ ჩვენი აოხრება და დამარცხება იმ გვირგვინის სიცხოველით, რომელიც აქნობამდინ მათ დარჩენიათ; დაკეტილს ოთახში უდგათ თურმე და მუდამ დღე და ღამ სანთელი უნთია.

×

აი ეს ზემო-დაწერილი ამბავია დარჩენილი ჩვენს ხალხში, და ვინ მიიღო, ეს გვირგვინი, ან რომელს საუკუნეში მოხდა ეს ამბავი და ან რომელ ხემწიფემ დასტყუა და დაინარჩუნა თითონ ეს გვირგვინი—ყველა ამაზე ხალხი არაფერს არ ამბობს.

ბროსეს გამოცემულს „ქართლის ცხოერებაში“ ერთ რომელღაც მეფის ისტორიაში გაკვრით არის მოხსენებული, რასაკვირველია, როგორც ლეგენდა, რომ ქართველთ მეფემ ზეცით მიიღო გვირგვინი.

ზ. მოაწმინდელი

ღო ხელ-მეორეთ ბაიაზეთი. პოდპოლკოვნიკი ქოვალევსკი დგას კიდევ ბაიაზეთის ციტადელში; პოდპოლკოვნი ფილიპოვი სამი სოტნით და 2 მთის ზარბაზნით გადვიდა ჯინგილის მთებზე, რომ ორგეევთან შეუკრას ქურთებს ერევნის გზა. პოლკოვნიკის ქოვალევსკის მისაშველებლათ გადმოვიდა ღენერალ-მაიორი ლორის-მელიქოვი უაგიზმანიდამ ორი სეევრსკის დრაგუნის პოლკით და ექვსი ზარბაზნით, უულფიდამ (ერევნის გუბერნიიდამ) პოლკოვნიკი ბრაბბე სამი ბატალიონით და დიადინიდამ პოლკ. შუშევი სამასი ყაზახით. ქურთები გადმოვიდნენ ბაიაზეთში შეიხ-ქოლო-შერგეევარის წინამძღოლლობის ქვეშ სპარსეთიდამ, სადაც, როგორც ამბობენ, ამათ დაამარცხეს სპარსეთის ჯარიო.

—

„რეიტერის აგენტობაში“, ზევინთან ბრძოლის თაობაზე, იწერებიან სტამბოლიდამ, რომ აქ არზრუმიდამ შემდეგი ტელეგრამმა მოვიდა 14 ივნისს:

„რუსის ჯარი, რომელიც შესდგებოდა 5,000 კავალერიით, 16 ბატალიონით ქვეითა და 32 ზარბაზნით, დაეცნენ ზევინთან ოსმალებს იმ ჰაზრით, რომ აეღოთ საღანლული. რუსებმა დაიწყეს სროლა ოსმალოების ჯარის მარჯვენა მხრისკენ; შუადღისას რუსების კავალერია და ქვეითი ჯარი შეეტაკა მარცხენა მხარეს; ბრძოლა გაგრძელდა საღამოდის. ოსმალოებმა განდევნეს მტერი; მაგრამ ბინდისას რუსებმა ხელ-მეორეთ დაიწყეს სროლა და შეტაკება. ამ ჯერობითაც განდევნილი იყვნენ რუსები, რომელნიც დაბრუნდნენ თავიანთ შემაგრებულ ბანაკში. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული მხნეობა გამოიჩინა ღენერალმა შეფკეთმა, რომლის წინამძღოლლობის ქვეშ იყვნენ ოსმალელები და ღენერალმა რაშიდმა. ოსმალოების მხრით დაჭრილები და დახოცილნი არიან 400, რუსების მხრით კი 3,000 კაცამდინ (?).

—

რუსულ გაზეთში „Голосъ“-ში სწერენ არზრუმიდამ, რომ მეჰმედ-ფაშის მაგიერათ, რომელიც მოჰკლეს ბრძოლაში, დანიშნულია ალაშქრეთის დივიზიის კომანდირი მუსტაფა-ჯავიდ-ფაშა.

—

ბერლინის „ბირშის აგენტობაში“ დაბეჭდილია შემდეგი კორრესპონდენტია 15 ივნისს თფილისიდამ გაგზავნილი:

„ღენერალმა ოკლობჟიომ გაგზავნა მსროლელთა ბატალიონი და თფილისის დრუჟინა იმ განზრახვით, რომ ამ ჯარს დაემორჩილებინა ქობულეთის ახლომახლო სოფლები. ატრიადის წინამძღოლად პოლკოვნიკი ლორის-მელიქოვი იყო. მცხოვრებლებმა აღუთქვეს, რომ როცა რუსები დაიჭერენ იმათ სოფლებს და დაიფარვენ ოსმალოს ჯარისაგან, მაშინ ისინი თოფ-იარაღს დაჭერიან. მაგრამ მივიდა თუ არა პოლკ. ლორის-მელიქოვის ჯარი დანიშნულ ალაგას, იმწამსვე სახლებში და ტყეში ჩასაფრებულ მცხოვრებლებმა საშინელი თოფის-სროლა შეჰქნეს და ბევრი ზიანიც მისცეს. ბაცხარებული რუსები მოედვნენ სოფლებს და გადადევნეს სამებიდამ მტერი.

—

უუბანის მაზრიდამ რუსულ გაზეთს „Русскій Міръ“-ში იწერებიან, რომ რადგან სოხუმისაკენ ფიცხელი ბრძოლა იმართებაო და მშვიდობიანად ცხოვრება შეუძლებელი შეიქნაო, ამის გამო შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზე დასახლებული რუსები, ბერძნები, ბოლგარიელები და ჩეხები აქეთკენ, უუბანის მაზრისაკენ გადმოსახლდნენო და მთავრობამ იმათ სხვა და სხვა სტანიცებში დროებით ბინა აუჩინაო.

## ევროპის ბრძოლის ველიდამ

თფილისში მიღებული „ხალხთა-შორის აგენტობის“ დეპეშა გვაცნობებს, რომ 16 ივნისს ღენ.-ადიუტ. შამშევს დევიზიამ აიღო ქ. ბაბადალი; 17-ს პოლკოვნიკმა იზმაილოვმა განდევნაო ამ ქალაქის არემარეიდგან ჩერქეზები და ბაშიბუზუკები, წაართვა ამათ 50 ცხენი და 20 ათასი სული საქონელიო; აქაური ქრისტიანები (ბოლგარიელები) აღტაცებით ეგებება ჩვენს ჯარსო.

—

გასულ კვირას თფილისში მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ 15 ივნისს დუნაიზე გადასვლის დროს, რუსების მხრით მოკლულია 6 აფიცერი და 289 სალდათიო. ამას გარდა 398 სალდათი დაჭრილილია და 38 სადღაცა დაიკარგაო.

—

სტამბოლიდამ ერთს რუსულ გაზეთში იწერებიან, რომ აქ სერასკირიატში (სამხედრო სამინისტროში) დიდი მოძრაობა და ფაცა-ფუცი არისო; თითქმის ყოველ დღე სამხედრო რჩევის კრება არის, რომელზედაც სულთანიც მუდამ თურმე ესწრებაო. დღე არ გაივლის ისეო, ამბობს ესვე კორრესპონდენტი, რომ სტამბოლიდამ თუ აზიისა და თუ ევროპის ბრძოლის ველზედ ახალ-ახალი ჯარები არ გაგზავნონო.

—

ყველა გაზეთებში, და სხვათა შორის ჩვენსაშიც, იყო ამას წინათ გამოცხადებული, რომ ოსმალეთის ზღვის ადმირალმა ბობარტ-ფაშამ „ბაიერ“-ზღვაში სამი რუსის ხომალდი და სტამბოლს მიიყვანაო. ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ამბავი მართალი ყოფილა: ხომალდები ეკუთვნოდა თურმე რუსის ეაჭარს ვალიანოს, რომელსაც გაუვსია ისინი პურის ფქვილით ტაგანროგში და გაუგზავნია სამზღვარ გარეთ გასასყიდლად; ჭერჩის წყალში მშვიდობით გაუვლია ხომალდებს, მაგრამ შავ-ზღვაში ბობარტის ფლოტს შეხვედრია, დაუჭირავსთ სამივე, ჩაუბიათ ჯაჭვი და სტამბოლში წაუყვანიათ.

—

ნემეცურს გაზეთს „Neies Wiener Tageblatt“-ში დაბეჭდილია ბუხარესტიდამ 16 ამ თვისას მიღებული დეპეშა, რომ ოსმალოს ჯარმა მიატოვა მეჯიდიე და ჩერნოვოდი, რადგან ყოველ წამს რუსების თავს-დასხმას მოელოდაო. ამავე გაზეთში იწერებიან, რომ ქ. ნიკოპოლი იწვის რუსების ყუმბარებისაგანო.

—

მეორე ნემეცურსავე პეტერბურღის გაზეთში იწერებიან, რომ ჟურჟევოში, 17 ივნისს, ზედ ხემწიფე იმპერატორის გვერდით ჩამოვარდაო დუნაის მეორე ნაპირიდამ რუსჩუკიდამ გამოვარდნილი ოსმალოს ყუმბარაო და იქვე გასქდაო. იმპერატორმა გულ-დამშვიდებით მიიხედ-მოიხედა, იკითხა, ხო არავინ არის დაჭრილიო და მერე სამჯერ პირჯვარი გადაიწერაო.

ამავე გაზეთში რუსჩუკიდამ იწერებიან, რომ ნიკოპოლი რუსების ჯარის ხელში ჩავარდაო. ქუნსტუნჯისა და ჩერნოვოდს შუა რკინის გზის დაყოლებლივ ოსმალოებს 25,000 კაცი ჯარი ჰყავთო.

—

„მოსკოვის უწვებების“ კორრესპონდენტი იწერება ზიმნიციდამ, რომ 15 ივნისს დუნაიზე გადასვლის დროს ჩვენის მხრავ 9 აფიცერია მოკლული და წყალში დამღჩვალი და 315 სალდათიო, დაჭრილების რიცხვი 400-მდინ ადისო. ზიმნიცთან ხიდი დამზადებული არისო. ოსმალოს ჯარი უკან იწევს და რუსჩუკში და ბალკანიის მთებში აპირებს რუსის ჯართან შებმას.

## ოსმალო-ჩერნოგორიის ბრძოლა

ჩერნოგორიის სატახტო ქალაქიდამ ცეტინიედამ მოვიდა ამბავი, რომ ჩერნოგორიის სამხრეთის სამზღვრისაკენ ამ მოკლე ხანში კიდევ შეტაკებას მოველით ჩვენსა და ოსმალეთის ჯარს შუაო; სპუჟსა და პოდგორიცს შუა 35,000 ოსმალოს ჯარია მოგროვილი და ამათ წინააღმდეგ გაჩერებულია 16,000 კაცი ჩერნოგორიის ჯარიო.

—

ერთი რუსულის გაზეთის კორრესპონდენტი იწერება სეტინიედამვე, რომ ჩერნოგორია ამ ჟამად ძალიან შეევიწროებულ მდგომარეობაში არისო, რადგან საჭმელ-სასმელი აკლიათ მცხოვრებლებს და ჯარებსო. კორრესპონდენტი უმატებს ამ ამბავს, რომ ჩერნოგორიის წყალობით 60,000 ოსმალოს ჯარი არის ამ ჟამად აქ დაბანდებულიო, რომელიც თუ არ ბრძოლა ამ პატარა სახელმწიფოსთან, დუნაიზე ან მცირე აზიაში იქნებოდა გაგზავნილიო და ვინ იცის, როგორ დაატრიალებდა ჩვენ ბრძოლის საქმესაო. ამის გამო რუსეთმა გაჭირებაში უნდა დაეხმაროს ამ თავგანწირვით მებრძოლ ხალხსაო.

## კავკასიის საბებიო ინსტიტუტი

მშობიარე ქალები მიიღებიან ყოველთვის დღე და ღამე; ფასი დღეში 50 კაპ., ღარ-ბები უფასოდ მიიღებიან.

ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის.

მიღება ავათმყოფი ქალებისა და უმაწვილების.

ქალის ავათყოფობისათვის:

ყოველ დღე, კვირას გარდა, 10 საათიდამ 11-მდინ—დოქტორი ონანოვი.

ოთხშაბათობით და შაბათობით 12 საათიდამ 1-მდინ—დოქტორი რემერტი.

სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12 მდინ—დოქტორი ალბანუსი.

საუმაწვილო ავათმყოფობისთვის:

ხუთშაბათობით 11 საათიდამ 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდი—დოქტორი უშაშაბათობით 12 საათზე რჩევაა დოქტორებისა. რემერტის, ალბანუსის და ანანოვის

ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფილება, რომელშიაც საქალებო ავათმყოფობას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო ოთახში ავათმყოფთა უნდა აძლიონ დღეში—50 კაპ., ცალკე ოთახში კი დღეში—1 მანეთი.

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაიდანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს: ექიმი მინკიევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ჟიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ., ჟიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობისა.

## განცხადებანი

ძალისამებრ კონტრახტისა, რომლითაც შეეკარ მე თფილისის ქალაქის ბამგეობას, 3 ივნისს ამა 1877 წელსა, მე ავიღე იჯარით (ოტკუპით) შეკრება ხარჯისა, რომელიც ერთმეევის საზიჯვისათვის, მსუბუქი დროშკებითა, ფაეტონებითა და მძიმე საქონლის ზიდვითა, პოვოსკებითა და თუ ფურგუნებითა.

ამ საგნისათვის მაქვს ნაქირაები კანტორა ერევნის მეიდანზედ, ალაევერდოვის სახლში სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ, მეჩანსკის უბრავას გვერდით.

უმდაბლესად ვსთხოვ ყოველთა, რომელთაც არ მიუღიათ ამ წლისათვის ბლიახი, გამოცხადდნენ ჩემს კანტორაში მისაღებლათ ბლიახისა, რომლისათვისაც უნდა მისცენ განწესებული ფული. ფულის მიღება და ბლიახის მიცემა დაწყობილი იქმნება ყოველ დღესა დილით 8 საათიდამ ვიდრე 2 საათამდე შუადღის უკანა, გარდა კვირისა და უქმი დღეებისა. ამისთვის მაქვს პატივი გამოუცხადო ყოველთა საერთოთ.

მოიჯარადრე სტეფან დოვლათბეგოვი

## „კეკეთი“

სარძეო სარდაფს „კეკეთში“, ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, მეტანა, ტვოროგი, ყველი, უდუღარი და ადუღებული რძე და მაწონი.—

ამ ზაფხულს მსურველთ ქოჯორშიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება, მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩინაკებმა წინ და წინ გამოუცხადონ სარძეო სარდაფს თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

სარძეო სარდაფი „კეკეთი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ ივანოვის ბიბლიოთეკა იყო.

---

მოსწავლე უფროსის კლასისა ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტისა ამზადებს უმაწვილებს ყოველ გვარ სასწავლებელში.

იკითხეთ „დროების“ რედაქციაში.

---

ვისაც ეჭირება კაცი, რომელმანც იცის ბუხალტერიის ანგარიში, კანტორის გამგეობა ანუ ვისაც უნდა საანგარიშო ანუ სხვა რაიმე საქმის გამგებელი, შეუძლიან მიმართოს „დროების“ რედაქციაში.

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი. | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| ბორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| უკირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| უკირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| ბორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ტელეგრაფი

| | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| ბორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . | 3 | 75 |

ფოლშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| | | |
|---|---|---|
| წიგნის გაგზავნა რუსეთში | | კაპ |
| და სამზღვარ გარეთ: | | |
| ერთ წიგნის . . . . . | | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | | 8 |

### ბირჟა

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 24 ივნისს | | |
| ერთი მანეთი ოქრს: | | |
| ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი. | — | 78 |
| პარიჟში 267 სანტიმი. | — | 81 |
| მსკონტი (საოგებლისფასი) | $7\frac{1}{2}$ | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 94 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 214 | 25 |
| მოგებიანი (მეორე ესესხი) | 208 | 25 |
| ბირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. საზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$) | 83 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 90 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 158 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 465 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 203 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 735 | 50 |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 268 | — |

### მაზანდა

| | ფან | კაპ. |
|---|---|---|
| თფილისი, 27 ივნისს | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ. | 1 | 25 |
| ფქვილი წითელი. . . | 1 | — |
| ქერი ფუთი. . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | — |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 8 | 50 |
| ბაპუტილი ბამბა ფუ. | 7 | 80 |
| ბატული თუშური ფუ. | 6 | — |
| —თარაქმისა ფუ. . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 20 |
| ქონი, ფუთი. . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 6 | 20 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 12 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 72 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 72 |
| სპირტი, გრადუზი . | — | 12 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 80 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 7 | 50 |
| ყავა გრგვალი, ფუთი . | 25 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 9 | — |
| ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. . | 7 | 60 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюня 1877 г. Типографія Меликова. გამოცემული ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი